სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/57 **16.09.2016 წ.**

2016-2017 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდების დანიშვნის შესახებ

2016-2017 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდები დაინიშნოს შემდეგი განრიგის მიხედვით:

1. შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა ყველა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაინიშნოს 2016 წლის 21 სექტემბერს 13^{00} საათზე.
2. მეორე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის საუნივერსიტეტო გამოცდა დაინიშნოს 2016 წლის 22 სექტემბერს 11^{00} საათზე №1128 აუდიტორიაში.
3. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის გამოცდა ერთ-ერთ ევროპულ ენაში B2 დონეზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დაინიშნოს 2016 წლის 22 სექტემბერს 11^{00} საათზე №2205-2405 აუდიტორიაში.
4. მედიცინის ფაკულტეტის ფარმაციისა და ბიოსამედიცინო ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამებისათვის საუნივერსიტეტო გამოცდა დაინიშნოს 2016 წლის 24 სექტემბერს 11^{00} საათზე №2205-2405 აუდიტორიაში.
5. ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში სამაგისტრო პროგრამისათვის საუნივერსიტეტო გამოცდა (ტესტირება ინგლისურ ენაში) ჩატარდეს კომპიუტერთან, 2016 წლის 21 სექტემბერს 13^{00} საათზე №2205-2405 აუდიტორიაში.
6. ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში სამაგისტრო პროგრამისათვის გასაუბრება სპეციალობაში ჩატარდეს კომპიუტერთან, 2016 წლის 22 სექტემბერს 11^{00} საათზე №1119 აუდიტორიაში.
7. საუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში (თამარ მეფის ქუჩა № 59) - №1208, №1209, №1205 აუდიტორიებში.
8. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფა დაევალოს საგამოცდო სექტორსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურს.

9. 11^{00} საათზე საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდაზე გამომსვლელთა რეგისტრაცია დაიწყოს 10^{00} საათზე, ხოლო 13^{00} საათზე გამომსვლელთათვის - 12^{00} საათზე.
10. დაევალოს კანცელარიის უფროსს ბრძანება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად გადასცეს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს.

რექტორი **გიორგი ღავთაძე**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი იმერ ბასილაძე